ბრძანება:**ბ47. 4722354001**
თარიღი:**20/12/2022**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი**

**სხდომის მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. მიმდინარე წლის 27 დეკემბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

***მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე***

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ.

***მომხსენებელი: თამარ ახალაძე***

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

***მომხსენებელი: თამარ ახალაძე***

1.4. ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალისათვის” (ს/კ - 242008812) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

***მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი***

1.5. დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 34.80 კვ.მ. ფართის (N4; N13) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.007) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

***მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი***

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ.

***მომხსენებელი: თეა მამალაძე***

1.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

***მომხსენებელი: მარინე ბერაძე***

1.8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ.

***მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე***

1.9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ.

***მომხსენებელი: მაია გოგოლაძე***

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი